TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის N157 ბრძანებით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის

ქცევის კოდექსი

ქ. თბილისი

სარჩევი

პრეამბულა 3

თავი I. ზოგადი დებულებები 5

მუხლი 1. ქცევის კოდექსის მოქმედების სფერო 5

მუხლი 2. ქცევის კოდექსის მიზნები 5

თავი II. ქცევის წესები 7

მუხლი 3. სტუდენტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა და არასათანადო ქცევა 7

მუხლი 4. სწავლების პროცესთან დაკავშირებული დისციპლინური დარღვევები 8

მუხლი 5. აკადემიური/დამხმარე პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ქცევის წესებითან დაკავშირებული ვალდებულებები: 12

მუხლი 6. დისციპლინური გადაცდომის ფორმები 13

თავი III. პროფესიული ქცევის კომიტეტი 13

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო 13

მუხლი 8. - დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა 14

მუხლი 9. დისციპლინური ღონისძიებები და ეტაპები 14

მუხლი 10. გასაჩივრება 16

თავი IV. სხვა დებულებები **17**

მუხლი 11. - აკადემიური გადაცდომების პრევენცია 17

მუხლი 12. - აკადემიური სახდელ(ებ)ის მოხსნის პროცედურები 18

პრეამბულა

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (შემდგომში - **თსა** ან/და **აკადემია**) წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და **თსა-ს** შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე.

თსა იღებს ვალდებულებას დაიცვას წინამდებარე ქცევის კოდექსით (შემდგომში - **კოდექსი**) განსაზღვრული პროფესიული ქცევის უმაღლესი სტანდარტი ყველა ტიპის საქმიანობაში, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე უნივერსიტეტს გარე ურთიერთობებში. აღნიშნული ქცევის კოდექსი წარმოადგენს სტუდენტებისა და პერსონალის პროფესიულ გზამკვლევს **აკადემიის** ინსტიტუციურ კულტურაში. **ქცევის კოდექსი** წარმოადგენს **თსა-ს** ინსტიტუციური პრინციპებისა და ეთიკური სტანდარტების გამაერთიანებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

ქცევის კოდექსი **თსა-ს** პროფესიული ეთიკის საკითხებთან ერთად აღწერს ქცევის პრინციპებსა და აკადემიურ ღირებულებებს. აღნიშნული ღირებულებები მოიცავს **აკადემიის** საქმიანობის ყველა საკვანძო საკითხს, მათ შორის პროფესიულ თუ პირად ურთიერთობებს, როგორც აკადემიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ნულოვან ტოლერანტობას არაეთიკური ქცევის მიმართ და სხვა მრავალს. სწორედ ამიტომ, კოდექსი არის ძალიან მკაფიო, თანმიმდევრული და აკადემიის თითოეულ წევრზე მორგებული დოკუმენტი. **თსა-ს** პერსონალი, სტუდენტები, აკადემიასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურული ერთეული, იქნება ეს მუდმივმოქმედი თუ დროებითი გაერთიანება ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე **კოდექსით** განსაზღვრული სტანდარტები, მიუხედავად მათი თანამდებობრივი მდგომარეობისა.

მნიშვნელოვანია, რომ ქცევის კოდექსი შეიქმნა მსოფლიო პრაქტიკაზე დაფუძნებული საუკეთესო გამოცდილებებისა და **თსა-ს** სტუდენტებისთვის პროფესიონალური ქცევის გზამკვლევის საფუძველზე, რომელიც სრულ თანხვედრაშია აკადემიის მიზნებთან და ღირებულებებთან.

წინამდებარე ქცევის კოდექსი არ წარმოადგენს მხოლოდ ქცევის ზოგად პრინციპებთან დაკავშირებულ საკითხთა ერთობას და შემდგომში აღნიშნული პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებულ სანქციათა ჩამონათვალს. აღნიშნული დოკუმენტი ეხმარება თსა-ის სტუდენტს, როგორც მომავალ ექიმს, პროფესიონალად ჩამოყალიბებაში, რაც მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- განავითაროს და შეინარჩუნოს პროფესიული უნარები და ცოდნა;
- საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით უზრუნველყოს პაციენტის მოვლის მაღალი სტანდარტი;
- გაეცნოს და მკაცრად დაიცვას საექიმო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ყველა რეგულაციას;
- გააცნობიეროს საკუთარი კომპეტენციის ზღვარი;
- უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება და მისი ღირსების სათანადოდ დაცვა;
- მიიღოს პრევენციული ზომები კლინიკურ გარემოში პაციენტის ნებისმიერი გადამდები დაავადებისგან (მათ შორის ნოზოკომიური ინფექციებისგან) და ექიმის/სტუდენტის ავადმყოფობით გამოწვეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისგან დასაცავად;
- დაიცვას პაციენტის კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მისი ნებართვის გარეშე;
- ყურადღებით მოუსმინოს პაციენტს და უზრუნველყოს ნდობის ჩამოყალიბება.

<u>იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქცევა კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ეთიკის კოდექსში, იგი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ეთიკური ან/და არაეთიკურია.</u>

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ქცევის კოდექსის მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე ქცევის კოდექსის მოქმედება ვრცელდება **აკადემიის** პერსონალზე (აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე), სტუდენტზე, პირზე, რომელიც აკადემიის ბაზაზე ახორციელებს სამეცნიერო კვლევას, კვლევით კომპონენტს ან/და გადის სტაჟირებას ან სასერტიფიკატო კურსს, მოქმედებს აკადემიის სახელით ან მომსახურებას უწევს მას.

1.2 ამ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის ნორმები სავალდებულოა აკადემიაში საქმიანობის განმახორციელებელ ნებისმიერი პირისთვის. ხოლო, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობები მიემართება **თსა-ის** სტუდენტებს.

1.3 ადმინისტრაციულ/დამხმარე/აკადემიურ ან/და მოწვეულ პერსონალს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში, არეგულირებს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დებულებები.

მუხლი 2. ქცევის კოდექსის მიზნები

2.1 წინამდებარე **კოდექსი** ეფუძნება და ხელს უწყობს **აკადემიის** საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის შემდეგი ღირებულებების გაღვივებასა და განმტკიცებას:

- კეთილსინდისიერება;
- სამართლიანობა;
- ნდობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- პასუხისმგებლობა;
- ანგარიშვალდებულება;
- პროფესიული განვითარება;
- კოლეგიალურობა;

2.2 წინამდებარე ღირებულებების დაცვა სავალდებულოა აკადემიის საქმიანობაში ჩართული ყველა პირისათვის, განურჩევლად თანამდებობრივი პოზიციისა და საქმიანობის სახისა, იქნება ეს სწავლების პროცესი, შეფასება, სამეცნიერო საქმიანობა თუ სხვა სახის აქტივობა. აღნიშნული ღირებულებები წარმოადგენს ასევე ვალდებულებებს, რომელთა არასრული ან/და არაკეთილსინდისიერი შესრულება განისაზღვრება, როგორც არამართლზომიერი ქმედება ან გადაცდომა და ექვემდებარება წინამდებარე კოდექსით და შინაგანაწესით გათვალისწინებულ სანქციებს.

2.3 ქცევის კოდექსის მიზნებისთვის **აკადემია** აცნობიერებს აკადემიური გადაცდომის საკითხის რეგულირების მნიშვნელობას და კონკრეტული ფაქტების არსებობის შემთხვევაში, მიუკერძოებელი და გააზრებული მოკვლევის გზით მათი დროულად მართვის მექანიზმის აუცილებლობას. მოკვლევის პროცესის ფარგლებში, პროფესიული ქცევის კომიტეტის მიერ თითოეული შემთხვევა განხილული იქნება ინდივიდუალურად, მოსმენილი იქნება არგუმენტები და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება წინამდებარე პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად;

2.4 წინამდებარე ქცევის კოდექსი უზრუნველყოფს შემდეგი დისციპლინური გადაცდომების **პრევენციას:**

- ჯგუფურ სამუშაოებში განზრახ არ ჩართვა საერთო დავალების შესასრულებლად;
- ბულინგი/შეურაცხყოფა, როგორც სტუდენტების, ასევე ადმინისტრაციული ან/და სწავლებაში ჩართული პერსონალის/დამხმარე პერსონალის მიმართ;
- დავალებების გადაწერა სხვა სტუდენტებისგან და პლაგიატი;
- სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობისადმი გულგრილობა;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რჩევების მიუღებლობა და უკუკავშირის უგულებელყოფა;
- თანატოლებთან, კოლეგებთან, აკადემიის თანამშრომლებთან და სხვა ადამიანებთან უხეშად მოქცევა;
- სასწავლო პროცესის ჩაშლა;
- კონფიდენციალურობის დარღვევა;

- გამოცდაზე შეუფერებელი ქცევა და საკუთარი ან/და სხვისი გამოცდის შედეგზე ნებისმიერი ფორმით მანიპულირება;
- სექსუალური, რასობრივი თუ სხვა სახის შევიწროება ან ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ქურდობა;
- სტუდენტისათვის შეუფერებელი და არასათანადო ქცევა.

თავი II. ქცევის წესები

მუხლი 3. სტუდენტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა და არასათანადო ქცევა

3.1 **თსა-ს** სტუდენტის არასათანადო ქცევად და საყოველთაოდ მიღებული ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია უნივერსიტეტის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ღონისძიებაზე ან/და კლინიკურ ბაზაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

3.1.1 სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეშლა;

3.1.2 თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა **თსა-ის** ტერიტორიაზე/შენობაში ან/და საამისოდ ნებადართული ადგილის ფარგლებს გარეთ;

3.1.3 უხამსი, არაეთიკური ან სხვა სახის ამორალური ქმედება აკადემიის ტერიტორიაზე ან/და აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც ხელს უშლის პროცესის სათანადოდ წარმართვას, მათ შორის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება ან მათი ქმედების ქვეშ აკადემიაში გამოცხადება, ალკოჰოლური სასმელების/ნარკოტიკის შეტანა, მისი გავრცელება ან/და მოხმარება.

3.1.4 საქართველოს კანონით „იარაღის შესახებ“ განსაზღვრული ნორმების დარღვევა, რაც მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება ცეცხლსასროლის ან/და ცივი იარაღის შეტანას, გამოყენებას ან/და სხვისთვის გადაცემას;

3.1.5 აკადემიის სტუდენტების და პერსონალის დაშინება, ცრუ ინფორმაციის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი სახის ზეწოლის საშუალებით და ამით აკადემიის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება.

3.1.6 თსა-ში ან/და კლინიკურ ბაზაზე ნებისმიერი ტიპის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა, დაცინვა, დისკრიმინაცია, აბუჩად აგდება.

3.1.7 აკადემიის ან/და კლინიკური ბაზის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სექსუალური ხასიათის ურთიერთობა;

3.1.8 ფეთქებადი, აალებადი ნივთების ან/და ნივთიერებების აკადემიის შენობაში ან/და კლინიკურ ბაზაზე შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ქმნის ხანძრის ან/და აფეთქების საფრთხეს;

3.1.9 აკადემიის, კლინიკური ბაზის ან/და სხვისი საკუთრების ნებისმიერი სახით ხელყოფა, განადგურება, დაზიანება, ქურდობა ან/და სხვა სახით შეზღუდვა;

3.1.10 აკადემიის ან/და კლინიკური ბაზის ტერიტორიის დანაგვიანება;

3.1.11 ფსიქოლოგიური ზეწოლა, ძალადობა, მუქარა ან/და დაშინება;

მუხლი 4. სწავლების პროცესთან დაკავშირებული დისციპლინური დარღვევები

4.1 წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ დარღვევებს:

4.1.1 ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება და ხელს უშლის **აკადემიის** მიერ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სამართლიანად შეფასებას და აძლევს სტუდენტს დაუმსახურებელ აკადემიურ უპირატესობას ან სარგებელს;

4.1.2 ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება აკადემიის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ხელს უშლის სამუშაო საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობას ან/და მიმართულია აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური საკუთრების ან ინვენტარის დაზიანებისაკენ;

4.1.3 სხვისი ნაშრომის, განურჩევლად შინაარსისა სიტყვიერი, თვალსაჩინოებრივი, შემოქმედებითი იდეის სახით და ა.შ, მითვისება, წარდგენა, მათ შორის ინტერნეტით მოძიებული მასალისა, და საკუთრად გასაღება, სათანადო ციტირების გარეშე;

4.1.4 სხვა პირის მიერ ნაშრომში გაწეული კონტრიბუციის, დახმარების, შეტანილი ცვლილებების საკუთრად გასაღება, სათანადო მითითების გარეშე;

4.1.5 ჯგუფური ნაშრომის ინდივიდუალურად და საკუთრად გასაღება;

4.1.6 ერთი და იმავე ნაშრომის ორი ან მეტი სასწავლო კურსის დავალებების ფარგლებში ჩაბარება, აქტივობის ქულების მიღების მიზნით.

4.1.7 სხვისი ნაშრომის მცირედად პერიფრაზირება, სიტყვათა მცირე ნაწილის შეცვლის გზით, თავდაპირველი ნაშრომის და მისი ავტორის სათანადოდ მოხსენების გარეშე;

4.1.8 წინასწარი ნებართვის გარეშე, სხვადასხვა მოწყობილობის, მათ შორის უსადენო კომუნიკაციის ხელსაწყოების და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების უნებართვო გამოყენება ტესტური გამოცდის, ქვიზის ან სხვა ნებისმიერი შეფასების პროცესის მიმდინარეობისას;

4.1.9 სხვა პირის ტესტ-კითხვარის, გამოცდის, ქვიზის, ლაბორატორიული ანგარიშის, პრაქტიკული სამუშაოს ან სხვა ნებისმიერი ნაშრომის პასუხების გადაწერა;

4.1.10 ინდივიდუალური დავალების, განურჩევლად მისი სახისა, პასუხების გადაწერა სხვა სტუდენტისაგან;

4.1.11 გამოცდის მიმდინარეობისას, საგამოცდო სივრცის გარეთ სხვა პირთან კონსულტაცია ან მასალის გადახედვა;

4.1.12 გამოცდის შემდეგ საგამოცდო ნაშრომში ცვლილებების შეტანა, საგამოცდო ცენტრის კომისიის წერილობითი ნებართვის გარეშე;

4.1.13 სახეცვლილი საგამოცდო ნაშრომის ხელახლა ჩაბარება, უკვე არსებული შეფასების შემდეგ;

4.1.14 შეცვლილი, გაყალბებული ან ფალსიფიცირებული კვლევითი მონაცემების წარდგენა;

4.1.15 საგამოცდო ტესტ-კითხვარების, ბილეთების ან სხვა ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი მოპოვება, გამოძალვის, ქურდობის, მოსყიდვის, მუქარის ან სხვა ნებისმიერი ხერხით;

4.1.16 სხვა სტუდენტის ინდივიდუალურ ნაშრომში სამუშაოს შესრულება და კონტრიბუცია;

4.1.17 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომის, პრეზენტაციის და სხვა აქტივობების ფარგლებში ნაყიდი ან მოპარული ნაშრომის წარდგენა;

4.1.18 სხვა პირის განსახიერება ან სხვა პირის წარმოდგენა განსახიერების მიზნით პირადი, წერილობითი ან ელექტრონული სახით; (ადმინისტრაციულ სახდელს დაექვემდებარება როგორც განსახიერებული ასევე განმასახიერებელი მხარე)

4.1.19 საკუთარი ან სხვა პირის პირადი ინფორმაციის ან/და აკადემიური მოსწრების შეცვლა/არასწორი ინტერპრეტაცია;

4.1.20 აკადემიური მოსწრების ამსახველი ინფორმაციის შეცვლა ან/და დამალვა, მათ შორის ჩარიცხვის ამსახველი დოკუმენტების, აკადემიური ტრანსკრიპტების, აკადემიის მიერ გაცემული ცნობებისა და წერილების და სხვა;

4.1.21 აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით სახეცვლილი, ყალბი ან თაღლითური გზით მოპოვებული დოკუმენტების წარდგენა, მათ შორის ჯანმრთელობის ცნობა, სამგზავრო ბილეთი, ფინანსური დოკუმენტაცია და სხვა;

4.1.22 სახეცვლილი ან გაყალბებული საგანმანათლებლო დოკუმენტაციის წარდგენა აკადემიაში ჩარიცხვის ან კრედიტების აღიარების მიზნით.

4.1.23 აკადემიის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტის, მათ შორის აკადემიური ტრანსკრიპტის, წერილის, ცნობის, რეკომენდაციის და სხვ. გაყალბება ნებისმიერი სახით;

4.1.24 ცრუ, სახეცვლილი ან გაყალბებული რეკომენდაციის წერილის წარდგენა.

4.1.25 სტუდენტების მიერ ერთმანეთისათვის სხვადასხვა წერილობითი ნაშრომის, მათ შორის ესსეების, საგამოცდო ან საკონტროლო კითხვებისა და პასუხების, ტესტ-კითხვარების ან სხვა ნებისმიერი დავალების შეთავაზება და გაზიარება;

4.1.26 სხვადასხვა ნაშრომის ურთიერთ გაცვლა-გაყიდვა და გაზიარება ნებისმიერი სხვა გზით;

4.1.27 სხვა სტუდენტისაგან ან აკადემიური პერსონალისაგან დახმარების მიღების და/ან გაცემის ნებისმიერი ფორმის მცდელობა, კერძოდ: გადაწერა და აკადემიური თაღლითობის ხელშეწყობა საგამოცდო პროცესის მიერ დადგენილი ნებისმიერი სახის დავალებების შესრულებისას;

4.1.28 აკადემიური უპირატესობის მოპოვების მიზნით სხვა სტუდენტის აკადემიური ნაშრომის შეცვლა/დაზიანება

4.1.29 სხვა სტუდენტის საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, აკადემიის საკუთრების არამიზნობრივად გამოყენება, სახეცვლა, დამალვა ან სხვა სახით სხვისთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;

4.1.30 სასწავლო პროცესთან და სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის, მათ შორის ცხრილების, სილაბუსების, სასწავლო ჰენდაუთების და სხვა; არაავტორიზებული მოპოვება, მათ შორის მოტყუების, გამოძალვის ან ქურდობის გზით, მათი სახეცვლა შემდგომში გამოყენების მიზნით;

4.1.31 ბიბლიოთეკის საკუთრების, მათ შორის წიგნების, ბეჭდვითი მასალების, ასევე ელექტრონული რესურსების, მათ შორის ჟურნალების, სტატიების, ტექნიკისა და სხვა; არანებადართული მოპოვება, დაზიანება და ნებისმიერი სახის სახეცვლა, ასევე მათი დამალვა ან განადგურება;

4.1.32 აკადემიაში გამოკრული განცხადების, პოსტერის და სხვ. დახევა, დაზიანება, მათზე დაწერა და ა.შ;

4.1.33 ინტელექტუალური საკუთრების ავტორის ნებართვის გარეშე გავრცელება, გაყიდვა ან ნებისმიერი სახის მოგების მიღების მიზნით გამოყენება, (მატერიალური, აკადემიური და სხვა). აღნიშნული შეეხება აკადემიაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციულ რესურსს, მათ შორის პერსონალის მიერ გამოყენებულ სლაიდებს, პრეზენტაციებს, მათ ესსეებს და კვლევით ნაშრომებს და სხვა;

4.1.34 ინტერნეტში ან სხვა გარეშე წყაროში არსებული ინფორმაციის გამოყენება არასათანადო ციტირების გარეშე და საკუთრად გასაღება.

4.1.35 სხვისი ინტელექტუალური საკუთრების კომერციული მიზნით გამოყენება.

4.1.36 საგამოცდო ცენტრის განაწესის დარღვევა-გადაცდომა, საგამოცდო პროცესის ჩაშლის და ხელის შეშლის მცდელობა, აკადემიური უპირატესობის ან სხვა სტუდენტის დისკრედიტაციის მიზნით;

4.1.37 სხვადასხვა სასწავლო კურსისა და დეპარტამენტის მოთხოვნების, ინსტრუქტაჟისა და განაწესის დარღვევა, მათ შორის ლაბორატორიული და კლინიკური დისციპლინების, როგორც თსა-ში, ასევე კონტრაქტორ კლინიკებში;

4.1.38 აკადემიის კონტრაქტორ კლინიკებში პროფესიული ვალდებულებების არასრული დაცვა, პროფესიული გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის დემონსტრირება, ასევე კლინიკის შიდა რეგულაციების და მითითებების უგულებელყოფა.

4.1.39 სტუდენტების პროვოცირება, აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა, აკადემიის თანამშრომლებისათვის ხელის შეშლა და სხვა;

4.1.40 არასწორი/გაყალბებული ინფორმაციის შემცველი საჩივრის წარდგენა პედაგოგის, სტუდენტის ან ადმინისტრაციული პერსონალის წინააღმდეგ;

4.1.41 აკადემიის თანამშრომელთა მოხსენიება მიუღებელი ფორმით ან/და სხვათა წაქეზება ანალოგიური ქმედებისაკენ;

მუხლი 5. ადმინისტრაციული/აკადემიური/დამხმარე პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ქცევის წესებთან დაკავშირებული ვალდებულებები:

5.1 ადმინისტრაციული/აკადემიური/დამხმარე და მოწვეული პერსონალი:

5.1.1 უზრუნველყონ პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა;

5.1.2 მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით, საჯარო გამოსვლის მიმდინარეობისას ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით თავი შეიკავოს ლექტორის სტატუსთან შეუფერებელი განცხადების გაკეთებისგან, რამაც შესაძლოა პირდაპირი ან ირიბი ზიანი მიაყენოს **თსა-ის** რეპუტაციას ან შელახოს სტუდენტების პატივი და ღირსება;

5.1.3 პირადი მიზნებისთვის არ გამოიყენოს სტუდენტის ან უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირის ფიზიკური და ინტელექტუალური ნაშრომი/მიღწევა;

5.1.4 არ დაამყაროს სტუდენტთან არათემატური, სექსუალური ან/და რომანტიკული ხასიათის ურთიერთობა;

5.1.5 თსა-ის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად უზრუნველყოს დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში სტუდენტთა სწავლება განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა სოციალურ საკითხთან დაკავშირებული შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

5.1.6 უზრუნველყოს, რომ თითოეულმა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება მიუხედავად სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ სხვა სახით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისა;

5.1.7 ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების გამომუშავებას;

5.1.8 უზრუნველყოს თსა-ის ქონების უსაფრთხო ექსპლუატაცია და გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ;

5.1.9 უზრუნველყოს, როგორც საკუთარი, ასევე სტუდენტთა პროფესიული განვითარება;

მუხლი 6. დისციპლინური გადაცდომის ფორმები

6.1 **თსა-ში** წინამდებარე **კოდექსით** გათვალისწინებული გადაცდომები იყოფა ორ ეტაპად:

6.1.1 **მძიმე გადაცდომა** - დარღვევა, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის აკადემიის ღირებულებებთან, ან/და ზიანს აყენებს აკადემიის საქმიანობას, კლასიფიცირდება როგორც მძიმე ხასიათის დარღვევა.

6.1.2 **მსუბუქი გადაცდომა** - პირველადი ხასიათის დარღვევა, რომელსაც არ მოჰყოლია სწავლების შედეგებთან დაკავშირებული პირდაპირი გავლენა და არ შეულახავს **თსა-ის** რეპუტაცია.

თავი III. პროფესიული ქცევის კომიტეტი

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო

7.1 გადაცდომის სიმძიმის, სახის და ხარისხის, ასევე შესაბამისი სანქციების განსაზღვრა ხდება **თსა-ის** პროფესიული ქცევის კომიტეტის მიერ ხმათა უმრავლესობით.

7.2 დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის განსაზღვრა მოხდება ინდივიდუალურად, შემთხვევის სპეციფიკისა და გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 8. - დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა

8.1 სტუდენტის, აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან არამართლზომიერი ქმედების საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, განმცხადებელი წერს განცხადებას იურიდიულ სამსახურის სახელზე. იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი განცხადებას განიხილავს კონფიდენციალურად. განცხადებაში დაფიქსირებული შინაარსის გაანალიზების შედეგად, იურიდიული სამსახური რექტორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული ქცევის კომიტეტის მოწვევის შესახებ. პროფესიული ქცევის კომიტეტის მოწვევა და კომიტეტის წევრების განსაზღვრა ხდება რექტორის ბრძანებით.

8.2 დისციპლინურ გადაცდომებთან მიმართებით დაუშვებელია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა და მხარეთა დისკრედიტაცია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინტერესთა

კონფლიქტის ან/და მიკერძოების საფრთხე, პროფესიული ქცევის კომიტეტის წევრი ვალდებულია მოითხოვოს კომიტეტის წევრობის **აცილება.**

მუხლი 9. დისციპლინური ღონისძიებები და ეტაპები

9.1 არაფორმალური ეტაპი:

9.1.1 მსუბუქი ხასიათის და მცირე დარღვევები, მით უფრო მაშინ თუ აღნიშნული ატარებს პირველად ხასიათს, განიხილება არაფორმალურად. ასეთ დროს, პროფესიული ქცევის გაუმჯობესების მიზნებისთვის ხორციელდება ქცევის მოწოდებული სტანდარტების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

9.1.2 განმცხადებლის მიერ ცრუ ბრალდებისა და არასწორი ინფორმაციის მოწოდების გამოვლენის შემთხვევაში, განმცხადებელს ეძლევა წერილობითი რეკომენდაციები, ქცევის კოდექსის საფუძველზე.

9.1.3 არაფორმალური შეხვედრა არ წარმოადგენს დისციპლინარული ზომების ნაწილს და ატარებს მხოლოდ რეკომენდაციების სახეს, რათა მოხდეს პროფესიული ქცევის სტანდარტების ამაღლება, თუმცა იმ შემთხვევებში, თუ არაფორმალური შეხვედრის შემდეგ სტუდენტი/პერსონალი არ ამჟღავნებს მისწრაფებას რეკომენდაციების პირნათლად შესრულებისა და პროფესიული ქცევის გაუმჯობესებისაკენ, საქმის მოსმენა შესაძლოა განახლდეს სათანადო ზომების მიღების მიზნით.

9.1.4 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის/პერსონალის ქცევა რჩება არადამაკმაყოფილებელი, პროფესიული ქცევის კომიტეტი უფლებამოსილია დაუქვემდებაროს დამრღვევი დამატებით კონსულტაციებს, რომლებზეც დამრღვევის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, საქმის მოსმენა განახლდება დისციპლინარული ზომების მიღების მიზნით.

9.2 ფორმალური ეტაპი

9.2.1 **დისციპლინური პასუხისმგებლობის** აუცილებლობის დადგომისას, **პროფესიული ქცევის კომიტეტის** მიერ უნდა მოხდეს საქმის მასალების სრულყოფილად, ობიექტურად შეკრება და განხილვა. პროფესიული ქცევის კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს შეხვედრას

დისციპლინის დამრღვევ ან/და დარღვევის დაფიქსირების შესახებ განცხადების შემომტან პირთან.

9.2.2 იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინის დამრღვევი მხარე არ გამოცხადდება **პროფესიული ქცევის კომიტეტის** მიერ დანიშნულ შეხვედრაზე ზედიზედ 2-ჯერ, **კომიტეტი** უფლებამოსილია განიხილოს არსებული საკითხი და გადაწყვეტილება მიიღოს მოპასუხე მხარის დაუსწრებლად. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს დისციპლინის დამრღვევ პირს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

9.2.3 პროფესიული ქცევის კომიტეტის დასკვნის შესაბამისად, დისციპლინარულ დარღვევას სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა შეესაბამოს შემდეგი სანქციები:

- **წერილობითი რეკომენდაციის მიცემა (გაფრთხილება)**
- **ფინანსური სანქცია (მატერიალური ზიანის შემთხვევაში)**
- **სტუდენტის სტატუსის შეჩერება**
- **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

9.2.4 **პერსონალის მიერ დისციპლინური დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება თსა-ს შრომის შინაგანაწესით.**

9.2.5 პროფესიული ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია წინამდებარე ქცევის კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს დააკისროს განსხვავებული ხასიათის სანქცია, რაც შეიძლება პირდაპირ არ იქნეს განსაზღვრული ამავე კოდექსის 9.2.3 პუნქტში.

9.2.6 სტუდენტის ან/და პერსონალის მიერ აკადემიის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ან განადგურების შემთხვევაში კომპენსაცია შესაძლოა დაკისრებულ იქნეს როგორც იზოლირებულად, ასევე კომბინაციაში სხვა სახის სანქციის ზომასთან ერთად.

9.2.7 სტუდენტის/პერსონალის გაფრთხილების მიცემის შემთხვევაში, შესაბამისი ჩანაწერი განთავსდება პირად საქმეში (რომლის ამოღებაც მოხდება მხოლოდ გაფრთხილების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, ქცევის მოწოდებული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში). გაფრთხილების ხანგრძლივობის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად.

9.2.8 სანქციების ხანგრძლივობა და ხარისხი განისაზღვრება გადაცდომის სახიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, არსებული დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

9.2.9 განცხადების ადრესატი მხარე ინფორმირებული უნდა იყოს განცხადების შინაარსის, დისციპლინური წარმოების მიმდინარეობის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესახებ.

9.2.10 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თითოეული შემთხვევა განხილული უნდა იყოს ინდივიდუალურად, არსებული მტკიცებულებების, გარემოებებისა და არგუმენტების გათვალისწინებით, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

9.2.11 პროფესიული ქცევის კომიტეტის სხდომის საბოლოო გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 10. გასაჩივრება

10.1 განცხადების ადრესატს (მოპასუხე მხარეს) აქვს უფლება გაასაჩივროს ოფიციალური გაფრთხილება ან/და პროფესიული ეთიკის კომიტეტის მიერ გამოყენებული სხვა სანქციის ზომა.

10.2 გასაჩივრების მიზნით, მოპასუხე მხარე ვალდებულია წერილობით მიმართოს იურიდიულ სამსახურს, დისციპლინარული მოსმენის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც იურიდიული სამსახურის უფროსი მსვლელობას მისცემს საქმეს და გადასცემს პროფესიული ქცევის კომიტეტს გადაწყვეტილების გადახედვისთვის.

10.3 გასაჩივრების მოთხოვნის წერილი ნათლად უნდა აღწერდეს გასაჩივრების საფუძვლებს, მათ შორის მოპასუხე მხარის გამამართლებელ არგუმენტებს, შემამსუბუქებელ გარემოებებს და არსებობის შემთხვევაში, ხარვეზებს დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში.

10.4 სააპელაციო მოსმენა ინიშნება გასაჩივრების მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომლის განმავლობაშიც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება რჩება ძალაში.

10.5 სააპელაციო მოსმენის თარიღი და საჭირო დოკუმენტთა ნუსხა, რომელთა წარმოდგენაც შეუძლია მოპასუხეს, უნდა ეცნობოს წერილობით, დანიშნულ დღემდე 3-5 სამუშაო დღით ადრე.

10.6სააპელაციო მოსმენის შედეგი, გამომდინარე მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციიდან და მტკიცებულებებიდან შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად: მიმდინარე გადაწყვეტილების გაუქმება, შემსუბუქება ან ძალაში დატოვება. სააპელაციო მოსმენის გადაწყვეტილება საბოლოო ხასიათს ატარებს და თსა-ში ხელახალ გადახედვას აღარ ექვემდებარება.

10.7სააპელაციო მოსმენის გადაწყვეტილება ელ.ფოსტის მეშვეობით უნდა ეცნობოს მოპასუხე მხარეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

თავი IV. სხვა დებულებები

მუხლი 11. - აკადემიური გადაცდომების პრევენცია

11.1აკადემიური გადაცდომის პრევენცია წარმოადგენს **თსა-ის აკადემიური მთლიანობის** პოლიტიკის ნაწილს და წინამდებარე ქცევის კოდექსის ერთ-ერთ მიზანს.

11.2აკადემიური გადაცდომის პრევენციის მიზნით, თსა ახორციელებს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტების და მკვლევარების მუდმივ ინფორმირებას, აკადემიაში არსებული ეთიკური სტანდარტებისა და ნორმების შესახებ.

11.3თსა-ს აქვს უფლება, შესაძლო გადაცდომების თავიდან აცილების მიზნით, შეაფასოს პერსონალის/სტუდენტის ეთიკური ცნობიერების დონე და არასათანადო შედეგების გამოვლენის შემთხვევაში, მოახდინოს მათი ცნობიერების ამაღლება ტრენინგისა და მაღალეთიკური ქცევათა ნორმების წახალისების გზით.

მუხლი 12. - აკადემიური სახდელ(ებ)ის მოხსნის პროცედურები

12.1 წინამდებარე ქცევის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის ვადა არის ერთი წელი, გარდა იმ შემთხვევისა თუ პროფესიული ეთიკის კომიტეტმა გამოიყენა ამავე კოდექსით დადგენილი უმაღლესი სანქცია - სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა

12.2 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი და მას ერთი კალენდარული წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

12.3 დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება გაუქმდეს ვადაზე ადრე, იმ შემთხვევაში, თუ სახდელის მქონე პირმა მოიპოვა მნიშვნელოვანი პროფესიული ან/და აკადემიური დამსახურება/წარმატება.

12.4 წინამდებარე ქცევის კოდექსის 12.3 პუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხზე, დეკანის მიმართვის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული ეთიკის კომიტეტი.